№ 42, შაბათი, 30 ნოემბერი 1896 წ. 1896 შაბათი, 30 ნოემბერი 1896 წ. № 42

რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
редакція „Цнобисъ Пурцели“.

## მიიღება ხელის მოწერა დამდეგის 1897 წლისათვის

ვინც ამ თავითვე წლიურად გამოიწერს, მას გაზეთი იანვრამდე მუქთად მიუვა. მიუვა აგრეთვე მუქთად საქართველოს კალენდარი 1897 წლისა

წლიური ფასი ექვსი მანათი.

### რედაქციისაგან

ხელ-ახლად ვაუწყებთ იმ ახალ ხელის-მომწერთა, რომელნიც გვისაყვედურებენ, შიგა და შიგ თითო-ოროლა ნომრები დაგვაკლდათო, რომ „ცნობის ფურცელი“, თუმცა ამ ჟამად 2200 ეგზემპლიარი იბეჭდება, მაგრამ ცალკე ნომრების გაყიდვის გამო, ზოგი ნომრები რედაქციას სრულებით არ მოეპოვება და ამიტომ თავისდა უნებურად ვერ აკმაყოფილებს ახალ ხელის-მომწერლებს.

შემდეგისათვის რედაქცია, რომ თავიდამ აიცილოს საყვედური და თვით ხელის მომწერთაც მიუვიდეთ ხვედრი ნომრები, უმორჩილესად სთხოვს ყველას, დროისით შეატყობინონ რედაქციას გაზეთის დაკვეთის სურვილი, რათა რედაქციამ, ხელის მომწერთა რაოდენობის მიხედვით, დაიჭიროს ანგარიში და დაჰბეჭდოს სამყოფი რიცხვი გაზეთისა.

---

შუამავლის საადებ-მიცემო ამხანაგობის დროებითი კონტროლი ამით აცხადებს, რომ რადგან 10 გიორგობისთვისათვის დანიშნული საგანგებო კრება ამხანაგობის წევრთა არ შესდგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ კრება დანიშნულია ხელ-მეორედ კვირას, 1 ქრისტეშობისთვეს, საღამოს 6 საათზე, პურ-ღვინოს სასტუმროში. კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კრებამ უნდა განიხილოს ამხანაგობის საქმეთა მდგომარეობა და აირჩიოს გამგეობისა და კონტროლის წევრნი თავიანთ კანდიდატებითურთ.

(4—3)

---

ქართული თეატრი
1896 წ. ოთხშაბათს 4 დეკემბერს,
ბენეფისი ნ. გაბუნია ცაგარლისა
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ საფაროვი-აბაშიძისა, ავალიშვილისა და ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება

## ორი ობოლი

დრ. 5 მოქმედ. თარგ. ა. ცაგარლისა, მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. საფაროვი-აბაშიძისა, ავალიშვილისა, კარგარელისა, ივანიძე, კუნდელი, საყვარელიძე და სხვ. ბბ. ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, მარჯანიშვილი, კანდელაკი, თამაზოვი და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

---

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულადშ არდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

---

## სამკურნალო და ამბულატორია ს. გ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

---

შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. გ. თოფურია.

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ი. კ. ვარშავსკი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. გ. თოფურია. (წ.)

---

### გუშინდელი დეპეშა.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: ჟანდარმთა კორპუსის შტაბის უფროსი გენერალი მეზენცევი ავადმყოფობის გამო დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან.

გავრცელებული ხმა ოლგა პალემის თავის მკვლელობისა ტყუილი გამოდგა. პალემს თხოვნა მიუცია უმაღლესს სახელზედ პატიებაზე.

**მოსკოვი**, 27 ნოემბერს, როცა მგზავრების მატარებელი ხიდს გადადიოდა სადგურ ხოტკოვოსთან, მესამე კლასის ვაგონს ღერძი გაუტყდა და თვალი ლიანდაგს ვადასცილდა. კონდუქტორმა მაკაროვმა მყისვე შეაყენა მატარებელი ავტომატიურის ტორმაზით. მგზავრებმა მაკაროვს ამ საქციელისათვის ხელად შეუკრიბეს საჩუქრად ცხრა თუმანი.

**ბერლინი.** „ჩრდილო გერმანეთის გაზეთს“ დეპეშა მიუღია ლორენცო-მარკეციდან, საიდამაც სჩანს, რომ ჰოლანდიის იქაურ ელჩს თავს დასხმიან და დაუჭრიათ, ამას გარდა დაუხევიათ ინგლისის დროშა და მოუნდომნიათ გერმანეთის საელჩოს იერიშით აღება.

**ბერლინი.** გერმანეთის საელჩოზე თავს დასხმის გამო ლორენცო-მარკეცში მთავრობას უკვე დაკმაყოფილება მოუთხოვნია ლისაბონში.

**რომი.** კაპიტანს სორენტინოს ბრძანება მოუვიდა, გაემგზავროს გემს „ელბაზე“, ბერნადირში. გემი მასსოვაში გაჩერდება, სადაც 200 ასკარიებს აიყვანს. სორენტინო დანიშნულია ბერნადირის ნაპირებთა სამეფო კომისარად.

**ვაშინგტონი.** სენატმა გადასცა კომისიას ორი გარდაწყვეტილება, რომლიდამაც ერთი ითხოვს კუბის რესპუბლიკად აღიარებას, მეორე კი თხოულობს კუბა ჯარებით დაიჭიროთ, სანამ მცხოვრებნი კუნძულზე არ დაიმკვიდრებენ თავის მთავრობასო.

**ბომბეი.** შავი ჭირი გავრცელდა მთელს ქალაქში. 26 ნოემბერს 55 სული გახდა ავად, მათში 37 გარდაიცვალა. შავი ჭირის გაჩენიდამ ავად გამხდარა 1126 სული, ხოლო მომკვდარა 804 სული.

## ახალი ამბავი

*** ეგზამენები სამედიცინო აკადემიაში. წელს სამხედრო სამედიცინო აკადემიაში 112 კურს დამთავრებულ სტუდენტებში მხოლოდ ორია კავკასიელი: ერთი სომეხი, მათევოს ავეტსიანი და მეორე ქართველი, თევდორე ახვლედიანი, ორივე ექიმის ხარისხით გამოვიდნენ.

*** პასპორტების მოთხოვნა რკინის გზაზე მოსამსახურეთაგან. ამ თვის უკანასკნელ ხანებში, თანახმად სამინისტროს ბრძანებისა, ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობამ ყველა მოსამსახურეთ მოსთხოვა უვადო პასპორტები. მაგრამ, საუბედუროდ, პასპორტები ყველამ ვერ წარადგინა, რადგან უვადო პა-

ივერიელი

სპორტებს მხოლოდ კეთილშობილებს აძლევენ, ხოლო მოქალაქეთა და გლეხთათვის ჯერ მიღებული არ არის, საიდამაც ჯერ არს, უვადო პასპორტები, ამის გამოისობით რკინის გზის მმართველობას უმრავლეს მოსამსახურეთათვის ვადა დაუნიშნავს დამდეგის წლის თებერვლამდე პასპორტების წარმოსადგენად, ხოლო თუ მაშინაც ვერ წარუდგინეს პასპორტები, მაშინ გზის მმართველობა სამსახურიდან დაითხოვს, ვისაც კი უვადო პასპორტი არ ექნება.

***** ტელეფონის მავთულის გაყვანა ვარანცოვის ხიდზე.** ქალაქის გამგეობას ნება არ მიუცია ფოსტა ტელეგრაფის გამგეობისათვის ტელეფონის მავთულები გაეყვანათ ხიდზე, იმ მოსაზრებით, რომ ხიდს დაამძიმებს და შეიძლება ხიდი ჩაინგრესო. ეხლა უკვე გაუშინჯავთ ხიდის სიმაგრე და აღმოჩენილა, რომ ვარანცოვის ხიდი ადვილად აიტანს მავთულების სიმძიმეს და მიტომ ამ დღეებში შეუდგებიან კიდეც მავთულების გაყვანას. მავთულებს გაიყვანენ, თურმე, ხიდის ნაპირა ადგილებში, სადაც რკინის მილებს გამართვენ და შიგ მილებში გაკეთდება მავთულებიც.

***** თავხედური ქურდობა.** გუშინ წინ, საღამოს $9^1/_2$ საათზედ, სასახლის ქუჩაზე მექუდე ავ. აკოფოვის მაღაზიაში ვიღაც ჯიბგირი შესულა და უეცრივ მოუტაცნია ტყავი, მაგრამ დროზედ შეამჩნიეს, და კარგა ლაზათიანად სცემეს, მერე პოლიციელს გარდასცეს.

***** ჯიბგირები ეკკლესიაში.** ხუთშაბათს წმ. მარინეს ეკკლესიაში, როცა მიცვალებულს ანდერძი აუგეს და უნდა გამოესვენებინათ, ამ დროს ჯიბის ოსტატს ამოეცალა ერთი კაცისათვის ამქარისათვის მისაცემი ფული ოთხი თუმანი. ამავე დროს, თურმე, მგლოვიარე ქალისათვის შიგ ეკკლესიაშივე ამოეცალათ შვიდი თუმანი ფული; იქვე პოლიციაც იყო, მაგრამ ვერა იპოვნეს-რა.

***** ოსტატური ქურდობა.** წარსულ შაბათს მეტად მოხერხებული ქურდობა მომხდარა შუა ბაზარში. ერთი გურული ვაჭარი ვითომდა იცნეს ოთხმა კინტომ და დაუწყეს დაყვავებით ლაპარაკი:

— თქვენ გურული რომ ბრძანდებით, გატყობთ და კიდეც მინახიხართ სადღაც, მაგრამ კი არ მაგონდება სადაო,—დაუწყეს კინტოებმა მუსაიფი: თქვენ შეიძლება იცნობდეთ მ—ე უ—ძესო, დაეკითხნენ იგინივე გურულს.

— რავარ არაო—მიუგო გურულმა.—მაშ თუ იცნობ იმ კაცს, იმედია წერილს წაუღებ მასთანო?

— ბატონი ბრძანდებითო, მიუგო გურულმა. ამ დროს კინტოებმა წაიყვანეს ერთ მებრილიანტესთან და იქ ერთმა თურმე განგებ ცარიელი პორტმანე დააგდო. შემდეგ შეჰქმნეს ძებნა და რაკი ცარიელი პორტმანე იქვე იპოვნეს, დაიწყეს ჯერ ერთმანეთის ჩხრეკა-ძიება და შემდეგ გურულიც გაჩხრიკეს. გურული ვაჭარი კი გულ წრფელათ არწმუნებდა მათ, რომ ქრისტეს და წმინდა გიორგის გეფიცები, არაფერი ამილია თქვენიო.

— გამჩხრიკეთ, ძმავ, გამჩხრიკეთ. მე არ ვშიშობ, ნუ გეშინია, ეუბნებოდა გურული. ამ გაჩხრეკის წყალობით გურულის ვაჭრის პორტმანეც გადაატრიალეს და ხუთი თუმნის ნაცვლათ უბრალო ქაღალდებით გაუტენეს პორტმანე, რის შემდეგაც მსწრაფლ განქრენ ეს გაიძვერები, ვითა სიზმარი ღამისა!.. გურული შეგვხედა და შემოგვჩივლა:

— რა ცეცხლი წამეკიდა, არ იტყვი?!

— რა, თქო, დავეკითხეთ ჩვენ.

— რაი და დანა რომ დამკრა სისხლის ცვარი არ გამომივა, იმისთანაი საჯაყი საქმე მიქნეს კინტოებმაო და ზემო თქმული ამბავი გვიამბო.

— თვალი სალა გავაჰყიტო აწი, სირცხვილისაგან, თვარა სხვას რავა ვჩივი რამესო—გულ დაწყვეტით გვითხრა გურულმა.

***** გერმანეთის იმპერატორის მობძანება პეტერბურგს.** ჩვენ გაზეთში უკვე მოხსენებულ იყო, რომ ავსტროუნგრეთის იმპერატორი ფრანც იოსებ საგაისოთ პეტერბურგში ესტუმრება რუსეთის ხელმწიფესო; ეხლა როგორც „Memorial Dirlomatidue“ იუწყება პეტერბურგს გაზაფხულზე მაისში მობრძანდება გერმანეთის იმპერატორი ვილჰელმ II—გო.

***** ქუთაისი:** 25 ნოემბერს ქალაქის საბჭოს სხდომას ბევრი ხალხი დაესწრო, რადგან სხვა საგნებთან ერთად უნდა მომხდარიყო წილის ყრა საბჭოს წევრთა ა. გაბაშვილისა და გ. ჩიმაკაძის შორის. ვისაც წილი შეხვდებოდა, იმისათვის უნდა ხელ-ახლა კენჭი ეყარათ და, ხომ მოგეხსენებათ, იმერეთში თუ კენჭის სუნი ვისმე ეცა თავ-რეტ დასხმულივით გარბის! ამიტომაც ბევრი მაყურებელი შეიკრიბა საბჭოს დარბაზში. წილი ხვდა ა. მ. გაბაშვილს, რომელიც თითქმის ერთ ხმად აღირჩიეს, ე. ი. 35 თეთრი და 2 შავი მიიღო. სხვათა შორის ამ დღეს საბჭომ სრული თანხმობა გამოაცხადა ქალაქის მოურავის მოხსენებაზედ, რომ ქუთაისში შემოიღონ ელექტრონით განათება. მოხსენება ვრცლად განმარტებს, თუ რა ადვილად მოსახერხებელია ამ განათების გამართვა ქუთაისში და როგორ დაუჯდება ყოველივე ქალაქის თვით-მართველობას. ეხლა იხარჯებაო 800 თუმანი და მაშინაც ამის მეტი არ დაიხარჯებაო. მაშინები დაგვიჯდება 60 ათას მანათად და ამ ფულებს გრძელ ვადიან სესხით ვიშოვით და მერმე 800 თუმნობით გავისტუმრებთო. ყველამ თანხმობა გამოაცხადა, როგორც ზევით ვსთქვით, და გადაწყდა, რომ ქუთაისი ელექტრონით განათდეს.—კვირისათვის აქ დანიშნულია ქართულ დრამატიულ დასის წარმოდგენა, რომელზედაც თბილისიდამ გვეწვევიან მ. საფაროვისა და ვ. აბაშიძე. იმედია, ეს წარმოდგენა ისე სუსტად არ ჩაივლის, როგორათაც წინანდელ სამმა წარმოდგენამ ჩაიარა.

***** ფოთი:** 25 ამ თვისას, ფოთის სამოქალაქო სასწავლებელში გამართულ იყო სალიტერატურო—მუსიკალური საღამო, რომელზედაც დაესწრნენ ფოთის ყველა სასწავლებლების მოწაფენი თავიანთ მშობლებით. ამ საღამოს სხვათაშორის იქმნა დადგმული ერთ მოქმედებიანი ოპერა ყმაწვილთათვის: „Снигирь и Ласточка“. საღამოში მონაწილეობას ღებულობდნენ პატარა შეგირდები, რუსები და მომეტებულად ქართველები.

ამ საღამოს მოსწავლე ახალგაზდობამ იმდენი სიამოვნება მიიღო, რომ რამდენიმე საათი ამ საღამოს გატარებული სამოქალაქო სასწავლებელში დიდხან არ დაავიწყდებათ მათ.

***** თიანეთი:** ამ თვის პირველს რიცხვებში მაზრის ტყეებს რამდენსამე ადგილას გაუჩნდა ცეცხლი. პოლიციის დროზედ მიღებულ ზომების მეოხებით ცეცხლი ყოველგან მალე ჩააქრეს, რის გამოც ტყის პატრონთ შესამჩნევი ზარალი არ მიეცათ.

***** ს. ხელთუბანი:** ჩვენს სოფელში შინაური ქურდ-ბაცაცები გამრავლდნენ. მინდორში დარჩენილს მგელი არ უშვებს და კარზედ კი ეს დალოცვილები. ამას წინად კნ. თ. მოჰპარეს პური, იმის შემდეგ კიდე გლეხს მიხა შ—ლს მოჰპარეს თერთმეტი კოდი. შერჩეული გასაღებით გაეღოთ საბძლის კარი და ეზიდნათ. ვის დაადოს ხელი? პარემ იციან ქურდები, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ცხვირის დაცემინებასაც მოწმე უნდა. ქურდები ამბობენ: მოიყვანე მოწმე და გადამახდევინეო. თუ მოწმე იქნებოდა, ხომ აღარც წაიღებინებდნენ.

აქამდე საქონლის ჭირი გარეშემო სოფლებში იყო გავრცელებული; ეხლა ხელთუბანსაც მოედო და სულ მუსრს ავლებს. ნათქვამია: «საწყალ კაცს ქვა აღმართში დაეწიაო». ჯერ მოუსავლობამ, დიდმა ზამთარმა და წყალდიდობამ წაახდინა აქაურობა, ახლა ზედ საქონლის ჭირიც დაერთო და რიღათი იცხოვრის ხალხმა. მომეტებულად წვრილ-ფეხსა ჰხოცავს: ძროხებს და დეკეულებს. ხარები და კამეჩები უფრო ხდილობენ. იძახიან, მსუქანს უფრო ეტანებაო. გლეხ-კაცობა ჭირიან საქონელს ატყავებს და შიგვე სოფლებში ჰყრის ნეხვებსა და კალოებზედ. რასაკვირველია, რომ ჭირი უფრო გავრცელდება. რაკი ჭირი გაჩნდა, ოსებსაც ტყეში აღარ უშვებენ, ჭირს შემოიტანთო და ახლა უშეშობა და უფიჩხობა გააჭირებს საქმეს.

***** იქადგანგე:** აქეთ ძალიან სიცივეები დაიჭირა. სრული კვირაა სთოვს. სიცივე—6 გრადუსამდე ადის და კიდევ მეტი. მოხუცებულები ამბობენ, ამისთანა სიცივეს ამ დროს არ მოვსწრებივართო. ამ ადრეულმა თოვლმა დიდი ზარალი მოგვცა. ბევრს დაჰრჩა მოურწყავი ხნულები, ბევრსაც დასათესი დაჰრჩა ძველთესლი ქერები. აქამდე კიდევ ნიორსა სთესავდნენ, იმით იღებდნენ თითოოროლა გროშს, ეხლა-კი ნახევარზე მეტს ისევ დასათესი დაჰრჩა დიდი თოვლის გამო. ნიორს ვინა სჩივის, მომეტებული ნაწილი ვენახებისა ისევ სარ გამოსაყრელია და დასამარხი. მომავალ წელიწადსაც მცირე მოსავალს მოველით პურისას. ღვინობისთვის გასულამდე რუ ვერ გამოიყვანეს და ძალიან დაგვიანდა მორწყვა. ამიტომ პურმა ეხლა ძალიან აიწია. კალოზედ რვა-ცხრა აბაზადა ფასობდა კოდი პური (4 ფუთი) და ეხლა თოთხმეტ აბაზად და სამ მანათად იყიდება. ამას იქით ოთხ მანათზედაც ავა. გასაყიდი კი არავის მოუვიდა და რას იქ. სიმინდი ცხრა აბაზად, ორ მანათად იყიდება გორის სასწორზედ. ქერიც მაგრეთვე. არც სხვა რამეა იაფად. ვისაც რა ჰქონდა იაფობაში გაყიდეს, ეხლა-კი სხედან და ოხრავენ.

***** სოფ. კიწაა:** აქ გაიხსნა 21—22 ენკენისთვეს ორ კლასიანი სამრევლო სკოლა, ახალი რეფორმისა. ამ სკოლის დაარსება უკვე დამტკიცებულია უწმინდესის სინოდთან დაარსებულ სამასწავლებლო საბჭოსაგან და სკოლას კრედიტიც გაეხსნება, ამ მოკლე ხანში, მახლობელ ხაზინიდამ. ეს სასიამოვნო ამბავი უკვე შეუტყობინებიათ სკოლის ხელმძღვანელის, მ. ბლაღოჩინის კონდრატე ჩაჩიბაიასათვის.

კიწიას საზოგადოებაში, ამ ბოლო დროს, ძალიან გახშირდა ქურდობა, თუმცა ადგილობრივი ბოქაულისაგან ბევრი ზომები იყო მიღებული მათ შესამცირებლად,—გახშირებული ქურდობის გამო ერს ყრილობა ჰქონდა და იმ გზას დაადგა, როგორიც ჩვეულებრივად მიღებულია ხოლმე ამ გვარ შემთხვევებში, ე. ი. უბრძანეს გლეხებს: ამოირჩიეთ დეპუტატები, ამ დეპუტატებმა დაგვისახელონ ქურ-

დები და ჩვენ ჯეროვან ზომებს მივიღებთ მათ ცუდ-მოქმედებების მოსასპობადო. დეპუტატები აირჩიეს კიდეც, მაგრამ არჩეულებმა იმ პირობით დაასახელეს ქურდები, რომ მათ მიერ აღნიშნული მავნე პირები, აღარ იყვნენ დატოვებულნი საზოგადოებაში, რათა შემდეგ ჯავრი არ იყარონ თავიანთ დეპუტატებზედ. მართლაც ერთი ისეთი ქურდი აღმოაჩინეს, რომელსაც ციმბირში გადასახლება თუ მოარჯულებდა. და იმ ღამესვე მხარ-გაკ-ული სოფლის კანცელარიის სატუსაღოში ჩააბრძანეს, მაგრამ ეს ვაჟ-ბატონი გაქცევია ყარაულებს და ახლა კიდეც თავისუფლად დანავარდობს და თავ-ზარსა სცემს ამორჩეულ დეპუტატებს. მაგ. ერთ დეპუტატთაგანს გლეხს გვარად ხუხუას, ამას წინედ, დაეცნენ ავაზაკები. ჯერ, თურმე, სახლს გარედგან დაუშინეს დამბაჩები, მერმე სახლში შევარდნიან და დამუქრებოდნენ: უნდა მოგკლათო. მოკვლით კი არ მოუკლავთ, მაგრამ რაც კი ებადა საბრალოს 7 მ. 50 კ. წაჰგლიჯეს და წავიდნენ.

აქეთ ძალიან სიცივეები დაიჭირა და იმდენი თოვლი დაჰყარა, რაის მსგავს ჯერ არ მოსწრებიან, არამც თუ ახალგაზდანი, არამედ მოხუცებულებსაც კი არ ახსოვთ ამ გვარი თოვლი—სიცივეები გიორგობის თვეში.

---

## თეატრის მატიანე.

### ქართული თეატრი.

წარსულ კვირას, 24 ნოემბერს, ქართულ თეატრში წარმოადგინეს გუცკოვის 5 მოქმედებიანი ტრაგედია „ურიელ აკოსტა“. უმთავრესს როლს ასრულებდა ბ ნი ალექსი მესხიშვილი და ჩვეულებრივ კარგად გაატარა თავისი როლი. ჩვენ გვინდა ერთი რამ შევნიშნოთ ბ-ნ ალექსი-მესხიშვილს. ურიელ აკოსტა ალექსი-მესხიშვილისა მეტის მეტად ლამაზი, კოპწია და ძალზე ნაზია. იქნება აგრეც უნდა იყოს გარეგნობით. ხშირად მაღალ ბუნებოვანი და ხასიათით მძლავრი კაცი, გარეგნულის თვისებით დიაცსაც წააგავს ხოლმე სილამაზით და სინაზით, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ურიელ აკოსტას, თუნდაც იმ გადაჭარბებულ სინაზესა და სილამაზესთან, უნდა აშკარად ეტყობოდეს გონივრული გარეგნობა, ინტელიგენტური სახის გამომეტყველება; მის შუბლსა და თვალებს ღრმა აზრი, მაღალი გონება და საერო, საქვეყნო მწვავ ფიქრთა შუქი უნდა ემჩნეოდეს!.. ურიელ აკოსტა მძლავრი კაცია, იგი უშიშარი და თავ-განწირული მებრძოლეა ცხოვრების ასპარეზზე, წუწუნი და ქვითინი მას არ შეშვენის; ურიელისთანა კაცები ბრძოლის ველიდგან გამოდიან „ან ფარით, ან ფარზედ“. ბ-ნ ალექსი-მესხიშვილს, მიუხედავად იმის ხელოვნურის თამაშობისა, აკლდა სწორედ ეგ დიდ-ბუნებოვანობა, ეგ დიადობა აზრისა, ეგ გმირული თავ-განწირულობა საყვარელის საგნის მისაღწევად; ჩვენის აზრით, ამის მიზეზი, ერთის მხრით, ის არის, რომ ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი ჰარბად გამოსდგომია ურიელ აკოსტას გარეგნობის ლამაზ და კოპწიად დახატვას. მეორე მხრით ალექსი-მესხიშვილს ის უშლიდა ხელს, რომ იგი სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ სამიოდ წელიწადს, ავადმყოფობს და მძლავრი და პატეტიური ალაგები მაყურებლებში სიბრალულს იწვევდა საუცხოვო, მაგრამ ავადმყოფ არტისტისადმი... ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობა ქართულ წარმოდგენებში ყოველთვის სასურველი და სასიამოვნოა, მაგრამ ამ ჟამად კი ბევრად სჯობია თვით არტისტისათვის და მაყურებლებისათვის, რომ იგი არ კისრულობდეს იმისთანა როლებს, როგორიც ურიელ აკოსტაა, არამედ მშვიდ და წყნარ როლებში გამოდიოდეს; ამ გვარი როლები კი ქართულს რეპერტუარში ბლომად მოიპოვება. ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი პატარა როლებსაც ხელოვნურად შეასრულებს და მით ესტეტიურ სიამოვნებას მოჰგვრის მაყურებლებს; ხოლო რაც უნდა ნიჭიერი და დახელოვნებული იყოს არტისტი, თუ იგი სცენაზე თვით იტანჯება ნამდვილის ტანჯვით და არა როლის შესაფერად, მაშინ სცენაზე ხელოვნება კი არ იქნება, არამედ არტისტის ტანჯვა და ტანჯვა მაყურებლებსაც დასტანჯავს...

ბ-ნი გედევანოვი კარგი იყო ბენაკიბის როლში; დესანტოსმა (კანდელაკი) და დესილვამ (ყიფიანი) ჩვეულებრივ გაატარეს თავიანთი როლები. ივდითის როლში ქ-ნი ავალიშვილისა კარგად თამაშობდა და გრძნობითაც, მაგრამ ეს უკანასკნელი, ჩვენის აზრით, ცოტათი ჰარბობდა. სრულებით საჭირო არ არის ასე ხშირად ქვითინი და ტირილი და მეტის-მეტად ფუსფუსი სცენაზე, ისევ ისა სჯობს, დრამატიული ექსტაზი გამოიხატებოდეს მიმიკასა და ხმაში, ვიდრე აჩქარებულს მიხვრა-მოხვრასა და კვნესა-ქვითინში. გარეგნობით ივდითი ცოტა არ იყოს არ შეეფერებოდა ავალიშვილისას, მეტადრე ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის ნორჩს და ნაზს ურიელ-აკოსტას. ივდითი პიესით მოწაფეა ურიელ-აკოსტასი, ხოლო ქართულ სცენაზე ეგ გარემოება როგორღაც იკარგებოდა, იმალებოდა. საქმის გამგებელთა პირ-და-პირი მოვალეობაა ამგვარ შემთხვევებში როგორმე ააცილოს სცენას ესეთი უთანხმოება გარეგნობაში მოთამაშეთა შორის: ან ერთი როლის მოთამაშე შეუწყოს მეორეს, ან მეორე როლის ამსრულებელი შეუფარდოს პირველს.

ივანიძისამ კარგად შეასრულა ურიელ-აკოსტას ბრმა დედის როლი, სამწუხაროდ ბ-ნ კარბელმა და ბ-ნ კუნდელმა სცენა მესამე მოქმედებაში სრულებით ჩაფუშეს და ალაგ-ალაგ სიცილსაც იწვევდნენ მაყურებლებში. ჩვენს თეატრში მომეტებულად სრულებით ყურადღებას არ აქცევენ პატარა როლების ამსრულებელთა, თითქოს პატარა როლებს თამაშობა და ხელოვნება არ ეჭირვებოდეს. თუ მოთამაშეს უნარი არა აქვს და მოხერხებაც, მაშინ რეჟისორმა იმდენი უნდა ინაღვლოს, რომ გაწრთვნით მაინც, მეხანიკურად დააჩვიოს მოთამაშე დროზე და შესაფერის კილოთი ხმის ამოღებას...

—

ოთხშაბათს, 27 ნოემბერს, ქართულ თეატრს სადღესასწაულო ფერი ედო. ვ. აბაშიძის ბენეფისმა ძლივს შეუყარა თავი ქართველ საზოგადოებას თეატრის დარბაზში. არდგენდნენ 4 მოქ. მელოდრამას „დანაშაული და სასჯელი“ და ოპერეტს „რაინდი უშიშარი და გულმართალი“. მელოდრამაში კორას როლის მეტი საიმისო როლები არაფერია. კორას როლს ასრულებდა ქ-ნი ავალიშვილისა და ხელოვნურად ითამაშა კიდეც. განსაკუთრებით ის სცენა, როდესაც გონება ერყევა. ძრიელ სასურველია, თუ კი როდისმე ხსენებული მელოდრამა დაიდგმის, რაც შეიძლება შემოკლებულ იყოს ის სცენა, ხოლო ბევრად საუკეთესო იქნება, რომ მოქმედება მაშინ გათავდეს, როდესაც ჟორჟ დიუგამელი გადის ცოლითურთ კორას სახლიდან. ჟორჟის როლში ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი ძრიელ მოხდენილი და კარგი იყო. მშვენიერები იყვნენ ქ-ბნი ჩერქეზიშვილისა და ბ-ნი კანდელაკი თავიანთ პატარა ეპიზოდიურ როლებში. ბ-ნნი აბაშიძე და გედევანოვი კოხტად და მხიარულად თამაშობდნენ ორი უსაქმური ყმაწვილ კაცის როლს. დანარჩენები ხელს უწყობდნენ საერთო შთაბეჭდილებას.

ოპერეტში მონაწილეობას იღებდნენ თვით მობენეფისე, მ. საფაროვისა, გედევანოვი, შათირიშვილი, და გარგარელი. ყველაზედ უკეთესი იყო ბ-ნი შათირიშვილი — რაინდ დუნუს როლში. გედევანოვმა კაფრიკანისა და ვ. აბაშიძემ ლაგირაოს როლში სიცილით დახოცა საზოგადოება. ქ ბნ კარგარელისამ კოხტად შეასრულა თავისი როლი. ამ საღამოს ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ გარგარელისას უფრო მხიარულ ტემპერამენტის როლები ეხერხება, ვიდრე დრამატიული და მოწყენილ-მოღრუშული როლები. მ. საფაროვისა საუცხოვოდ იყო მორთული და მშვენიერი და ძვირფასი ტანისამოსი ეცვა.

ხალხმა აღტაცებით მიიღო ვ. აბიშიძე და მრავალი საჩუქრებიც მიართვეს. წარმოდგენა გვიან გათავდა. შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია 4 დეკემბერს. წარმოადგენენ ფრანგულ მელოდრამას „ორ ობოლს“.

---

## სასამართლოს მატიანე.

გუშინ, 29 ნოემბერს, საოლქო სასამართლოში გაარჩიეს საქმე „ნოვ. ობოზრ“. რედაქტორის თავ. ვ. მ. თუმანიშვილის, რომლესაც უჩიოდა კბილის ექიმი ქალი ტარასოვისა ცილის წამებაში. საქმიდამ აშკარად დამტკიცდა, რომ „ნოვ. ობოზრ“. რედაქტორი არასფერში ყოფილა დამნაშავე, პირ-იქით თვითონ კბილის ექიმ ქალს ტარასოვისას, თურმე, ძრიელ ნდომებია ბათომის კბილის ექიმების გაძევება და «დონოსიც» მიუცია, სადაც ჯერ არს, ესე იგი დაუბეზღებია. თავ. თუმანიშვილი სასამართლომ, რა თქმა უნდა, გაამართლა.

ამავე დღეს ირჩეოდა იქვე „ტფილისტ.“ რედაქტორის ი. ხეჩატუროვის საქმე. ამას ცილის წამებას უჩიოდნენ ბ-ნი ტივჩუკი, რად დასწერა გაზეთში, რომ მე პოლიციამ შემიპყროვო, როცა მხოლოდ სახლი გამიჩხრიკეს და არ დავუჭერივარო. ამაზედ ხეჩატუროვმა სასამართლოს წარუდგინა პოლიციის ოქმი და იქიდგანა სჩანდა, რომ ტივჩუკი თუმცა დაჭერილი არ იყო, მაგრამ პოლიციის მხედველობის ქვეშ ყოფილა. მეორე მომჩივარი იყო ტანისამოსის მკერვალი ნუდელი, რომელსაც თურმე ერთი მოხელესათვის ტანისამოსი სხვა-და-სხვა ნაჭრებიდან შეუკერავს, ხოლო ხეჩატუროვს ეს ამბავი გაზეთში გამოუქვეყნებია. ამის საქმეზედაც ხეჩატუროვმა სასამართლოს წარუდგინა მომრიგებელ-მოსამართლის განჩინება, საიდამაც სჩანს, რომ მართლა ნუდელს სხვა-და-სხვა ნაჭერისაგან შეუკერია ტანისამოსი და მოსამართლეს მიუსაჯავს ნუდელისათვის ფულის უკან დაბრუნება მოხელესათვის.

---

## პეტერბურგის ბირჟა

კურსები ∂ ფონდები.

პეტერბურგი, 27 ნოემბერი 1896 წ.

| | |
|---|---|
| ვექსელ. კურსი 3 თვით: | |
| ლონდონისა 10 გირ. სტ—ში | 93,40 |
| ბერლინისა 100 მარკაში | 45,70 |
| პარიზისა 100 ფრანკში | 37,15 |
| მდგომარეობა ვექს. კურსისა | მშვიდია |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,50 |
| ტამოჟ. კუპ. (100 მ. მეტ.) | 149 |
| ბირჟის დისკონტი | 5¾—7% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 99¼ |
| 4% შინაგანი სესხი 1 სერიისა | 98⅞ |
| 4½% „ „ 1893 წლ. | 101 |
| 4½% გირავ. ფურც. სათ.-აზნ. საად.-მამულო ბანკისა | 101¼ |
| 4% „ „ „ „ „ | 97½ |
| 4½% მოწმ. საკრ. საად.-მამ. ბ. | 101¼ |
| 5% მომგ. ბილ. პირველ შ. სესხ. 1864 წ. | 294¾ |
| 5% მომგებ. ბილ. მეორე შ. | |

| | |
|---|---|
| სესხ, 1866 წ. | 255 |
| 5% მომგ. გირ. ფურ. სახელ. სათ.-აზნ. საად.-მამ. ბანკ. | 213 |
| „ ოქროს რენტა 1884 წ. | — |
| 4 1/2 გირ. ფურ. ურთ. შორის საად.-მამ. საკრ. საზოგად. | $154\frac{3}{4}$ |
| 5% სახელ. რკინ. გზ. რენტა | $100\frac{1}{4}$ |
| 4 1/2 კონსოლ. რკ. გზ. ოქრ. 1890 წლ. | $101\frac{1}{8}$ |
| „ „ 2 გამ. 1892 წლ. | $101\frac{1}{8}$ |
| 4% ობლ. კონ. რკ. გზ. ოქ. | $152\frac{3}{4}$ |
| 4% ობლიგ. კიევი-ვორონეჟ. რკინის გზ. | $101\frac{1}{4}$ |
| „ ობლ. რიაზ.-ურალ. რკ. გზ. | $101\frac{1}{4}$ |
| „ ობლ. სამხრ.-ალმოს. რკ. გზ. | $101\frac{1}{4}$ |
| 4% ობ. მოსკ.-კოზლ. რკ. გზ. | 97 |
| 4 1/2% სესხი ქ. პეტერბურგ. | 98 |
| 4 1/2 „ „ ქ. ოდესისა | $93\frac{3}{4}$ |
| 5% ობლ. პეტერ. საკრ. საზ. | 101 |
| 4 1/2% „ „ „ „ | $98\frac{1}{8}$ |
| 5% . . . . მოსკოვისა | $100\frac{7}{8}$ |
| 5 1/2% ობ. ოდეს. საკრ. საზ. | $100\frac{3}{8}$ |
| 5% „ „ | 100 |
| 5% ტფილისის | 98 |
| 5 1/2% გირავნ. ფურც. ხერს. საად. მამულთ ბანკისა | $100\frac{1}{8}$ |
| 5% „ „ „ „ | $100\frac{1}{8}$ |
| 4 1/2% „ „ „ | $94\frac{3}{8}$ |
| 5% „ „ ბესარ.-ტავრ. საად.-მამულთ ბანკ. | $100\frac{1}{4}$ |
| 4 1/2% „ „ „ | $94\frac{1}{4}$ |
| 5% ვილენის | $100\frac{1}{4}$ |
| „ დონისა | $100\frac{1}{4}$ |
| „ კიევისა | $100\frac{3}{4}$ |
| 4 1/2% „ | 95 |
| 5% მოსკოვისა | $100\frac{1}{8}$ |
| „ ნიჟ-სამარისა | $100\frac{3}{4}$ |
| „ პოლტავისა | $100\frac{1}{2}$ |
| 4 1/2% „ „ | 95 |
| 5% ტულისა | $100\frac{3}{4}$ |
| „ ხარკოვისა | $100\frac{3}{4}$ |
| 4 1/2% „ | $95\frac{1}{4}$ |
| 6% ტფილ. საად.-მამ. ბანკ. | 101 |
| 5% „ „ „ | $98\frac{7}{8}$ |
| 6% ქუთაის. საად.-მამ. ბანკ. | 101 |
| 5% „ „ „ „ | $98\frac{7}{8}$ |
| აქციები პეტერ. კერძო კომ. ბ. | $537\frac{1}{2}$ |
| „ პეტ. უჩოტ. და სესხ. | 735 |
| „ პეტ. ერთა-შორებრივ. | 653 |
| „ რუსეთის შინაგ. ვაჭ. | 489 |
| „ ვოლგა-კამას კომერ. | 1325 |
| „ პეტერბ.-მოსკოვის კომ. | $423\frac{1}{2}$ |
| „ პეტ.-აზოვის კომ. | 425 |
| „ რუს. სავაჭ.-სამრ. ბან. | 376 |
| „ აზოვი-დონის კომ. ბან. | 642 |
| „ ვარშავ. კომერ. | 508 |
| „ მოსკოვ. საერთაშ. ბან. | 460 |
| „ ციმბირისა | 700 |
| „ ბეს.-ტავრ. საად.-მამ. ბ. | 635 |
| „ ვილენისა | 620 |
| „ დონისა | 710 |
| „ კიევისა | 780 |
| „ მოსკოვისა | 735 |
| „ ნიჟეგოროდ. და სამარის | 690 |
| „ პოლტავისა | 613 |
| „ პეტერ.-ტულ. საად.-მ.ბ. | 407 |
| „ ხარკოვის საად.-მ. ბან. | 490 |
| „ პეტერბ. განათ. საზოგ. | 135 |
| პაიები ძმ. ნობელის სანავთო საზოგად. | 10,100 |
| აქციები „ „ „ | 512 |
| „ პუტელ. ქარხნის საზოგ. | $115\frac{1}{2}$ |
| „ ბრიანის რელს. მწარმ. მეტ. ქარხ. | $512\frac{1}{2}$ |
| აქციები ქარხ. საზ. „სორმ.“ | 234 |
| „ რუს. და ბელგ. მეტალ. | 275 |
| „ მალცევის ქარხნებისა | 609 |
| „ რუს. ოქრ. საზოგად. | 299 |
| „ რუს. დამზ. საზ. 1827 წ. | 1540 |
| „ „ „ „ 1835 წ. | 335 |
| „ დამზ. საზ. „სალამანდრა“ | 500 |
| „ პეტერ. დამზღ. საზოგ. | 450 |
| „ მოსკოვ. დამზღვ. საზოგ. | 820 |
| „ დამზღ. საზ. „როსსია“ | 383 |
| „ საზ. „რუსს. ლლოიდ“ | 1100 |
| „ რუს. საზოგ. საქონლის დაზღვ. და გაგზავნ. | 127 |
| „ დამზღვევი საზოგად. კ. „ნადეჟდა“ | 215 |
| „ რუს. საზოგ. სანავოსნო და სავაჭრო | 600 |
| „ საზ. „კავკაზ ე მერკურ“ | 425 |
| „ ნავოსნ. დნეპრზე | 97 |
| „ მოსკ.-ყაზანის რკ. გზ. | $495\frac{1}{2}$ |
| „ კიევი-ვორონეჟ. | 448 |
| „ რიბინსკისა | 172 |
| „ სამხრეთ-ალმ. რკინ. გზ. | $184\frac{1}{2}$ |

მდგომარეობა ფონდის ბაზრისა—მკვიდრია.

## ამიერ კავკასიის რკინის გზა.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 1 გადისდილის 9 ს. 30 წ. მიდის ბათომში სალ. 9 ს. 45 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 10 ს. 50 წ. მიდის ბაქოში სალ. 4 ს. 49 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 9 ს. 40 წ., მოდის თბილისში საღამოს 9 ს. 55 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დილით 2 ს. 30 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს, 1 წ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № გადის საღამოს 6 ს. 50 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 15 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 11 ს. 5 წ. მოდის თბილისში 5 ს. 50 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის ღამის 11 ს. 20 წ., მოდის თბილისში შუადღის 12 ს. 25 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის ნაშუადღევის 1 ს. 10 წ; მიდის ბაქოში 7 ს. 30 წ. დილით.

## გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

### სატვირთო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი სწრაფის რეისით გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

### საბარგო-სამგზავრო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

### ბათომში მოდიან გემები

ირგვლივის გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-სამგზავრო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუადღევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

# განცხადებანი

Вышла изъ печати и продается новая книга:

**ЭСКИЗЫ И ЭТЮДЫ**

Ил. Хонели (И. Л. Бахтадзе).

Содержаніе: Отъ автора.—„Доглаурія“.—Быль.—Какъ „въ старину живали дѣды“.—Князь-отщепенецъ.—Рамхотъ.—Горе Исаіи.—Въ мірѣ фантазіи.—Легенда о Гандегили.—Амцуха-леки.—Смерть.—Сновидецъ.—Дервишъ.—Имеретинскій катеръ.—На цѣпи.—Кулисъ-карскій кюре.—Спасенная святыня.

**ЦѢНА 1 РУБЛЬ.**

Съ требованіями обращаться: въ контору редакціи „Кавказа“, въ канцелярію „Общества распространенія грамотности среди грузинъ“, а также въ книжный магазинъ г. Бѣгичева.

Въ Кутаисѣ изданіе продается въ книжныхъ магазинахъ гг. Чиладзе и Церетели.

Печатается и скоро выйдетъ въ свѣтъ брошюра того-же автора: „Къ 100-лѣтію Крцанисской битвы“.

Содержаніе:—Къ 100-лѣтію Крцанисской битвы—Знамя Азатъ-Хана.—Герой Аспиндзи предъ судомъ „Хечагога“.

**ЦѢНА 30 КОП.**

მასწავლებელი

**მიხეილ ნასიძე**

ამზადებს მოწაფეებს ალექსანდრეს სასოფლო ინსტიტუტში შესასვლელად. მოწაფეს უნდა ჰქონდეს დასრულებული სამოქალაქო სასწავლებელი.

ადრესი: ქ. ტფილისი, მიხეილის ქუჩა, სახლი ანდრონიკოვისა, № 149.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА

**„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“**

**НА 1897 ГОДЪ**

(четырнадцатый годъ изданія).

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

съ доставкой и пересылкой:

| | | | |
|---|---|---|---|
| На 12 мѣсяцевъ | 10 р.—к. | „ 2 „ | 2 „ 75 „ |
| На 6 мѣсяцевъ | 6 р.—к | „ 1 „ | 1 „ 50 „ |
| „ 3 „ | 3 „ 50 „ | | |

За границу: на годъ—17 р., на полгода—9 р., на три мѣсяца—5 р. Подписка принимается не иначе, какъ считая съ I-го числа любого мѣсяца.

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ I-му мая—3 р. и къ I-му сентября—2 р.

Лица, подписашіяся теперь на будущій годъ, получаютъ газету безплатно въ текущемъ году со дня подписки.

Подписка принимается: въ Тифлисѣ—въ редакціи „Нов, Обозр.“, Барятинская ул., № 8; въ Баку—въ типографіи „Ароръ“; въ Батумѣ—въ книжномъ агентствѣ М. И. Николадзе; въ Кутаисѣ—въ кижныхъ магазинахъ Чиладзе и Бежанейшвили.

## ОТЪ РЕДАКЦІИ.

Открывая подппску на будущій годъ, редакція «Нов. Об.» считаетъ нелишнимъ заявить, что всѣ сотрудники (за немногими исключ.), которые принимали участіе въ нашей газетѣ до сихъ поръ, примутъ участіе въ ней и вь будущемъ году. Кромѣ того, намъ обѣщали сотрудничество нѣкоторые петербургскіе литераторы: Д. Н. МАМИНЪ, М. А. ПРОТОПОПОВЪ (критикъ), В ВЕРЕСАЕВЪ (сотрудникъ „Русскаго Богатства») и др. Нашъ ЛОНДОНСКІЙ КОРРЕСПОНДЕНТЪ Л.—ВИЧЪ, временно прекратившій участіе въ „Нов. Обозр.“, въ скоромъ времени возобновитъ печатаніе у насъ своихъ политическихъ писемъ. Печатаніе СПЕЦІАЛЬНЫХЪ ТЕЛЕГРАММЪ изъ Петербурга и отчасти изъ главнѣйшихъ центровъ Закавказья будетъ продолжаться круглый годъ.

Но улучшеніе литературнаго и политическаго отдѣловъ нашей газеты не отвлечетъ насъ отъ главнѣйшей нашей задачи—отъ обсужденія МѢСТНЫХЪ, КАВКАЗСКИХЪ ВОПРОСОВЪ, стоящихъ на очереди и отъ сообщснія возможно полныхъ свѣдѣній о событіяхъ мѣстной жизни. Мы заручились постоянными корреспондентами не только въ главныхъ городахъ Кавказскаго края. но и въ нѣкоторыхъ второстепенныхъ его пунктахъ. Многое зависитъ въ данномъ случаѣ, конечно, отъ содѣйствія мѣстныхъ дѣятелей, голосъ которыхъ мы будемъ продолжать выслушивать съ особеннымъ вниманіемъ. Пользуясь ихъ сочувствіемъ, мы съ своей стороны ни минуты не будемъ забывать, что газета должна совершенствоваться съ каждымъ днемъ; мы будемъ стремитьси къ тому, чтобы читающая публика получала возможно болѣе матеріала, обработаннаго и правильно освѣщеннаго, при чемъ никогда не перестанемъ руководствоваться той основной точкой зрѣнія, которая ясна для всякаго, кто внимательно слѣдитъ за нашей газетой.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29-го Ноября, 1896 г. სტამბა მ. შარაძის და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია